საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მორდალი

მორდალი, მორდარი, მურდარი (სპარს. Mohrdār – ბეჭდის მცველი), სეფიანთა ირანის ადმინისტრაციის სხვადასხვა სახის ბეჭდის მცველი, რ-იც სხვა მოხელეებთან (მდივანბეგი, სახელმწ. მდივანი, სამეფო აქიმი, სამეფო ასტროლოგი და სხვ.) ერთად შედიოდა სასახლის შიდა ადმინისტრაციის აპარატში.

ქართ. წერილობით წყაროებში ეს ტერმინი სხვადასხვაგვარი ფორმით გვხვდება: მოჰრდარი, მუჰრდარი, მურდარი, მორდალი. საქართველოში **მ**. მეფის სამდივნოს მოხელე იყო და სახლთუხუცესს ექვემდებარებოდა. მას ჩაბარებული ჰქონდა მეფის დიდი და პატარა საბეჭდავები, რ-ებიც უნდა დაეცვა და შემდგომ დანიშნულებისამებრ გამოეყენებინა. ამიტომ **მ**-ის თანამდებობაზე მეფეები ნიშნავდნენ ერთგულებით გამორჩეულ „მისანდო“ პირებს. **მ**. ესწრებოდა საბუთების გამზადებისა და დაბეჭდვის პროცესს.

მ. იხსენიება როსტომ მეფის მიერ 1638 მანუჩარ თუმანიშვილისადმი ბოძებულ ქართ.-სპარსულ დოკუმენტში, რ-შიც ამ სახელოს სარგოსა და ფუნქციებზეა საუბარი. აღნიშნული საბუთის მიხედვით, ყველა სახეობის სიგელი და სხვა დოკუმენტი **მ**-ს უნდა დაებეჭდა, მაგრამ, მოგვიანებით, ქართლის მეფე ერეკლე I-ის (ნაზარალი-ხანი; 1688–1703) დროს მ-ის როლი დაკნინდა და მეფის საბუთების დაბეჭდვის პრივილეგია ვეზირსა და მუსტოფს გადაეცათ, რ-ებიც უშუალოდ შაჰის მოხელეები იყვნენ ქართლის მეფის კარზე.

„დასტურლამალში“ (XVIII ს.) შეტანილი **მ**-ის განწესება უჩვენებს, რომ ერეკლე I-ის შემდგომ მას ძველი ფუნქციები დაუბრუნდა. „დასტურლამალი“ **მ**-ს სარგოს სპეც. პარაგრაფს უძღვნის. ქართ. წყაროებში „სამურდროს“ სამი დებულებაა ცნობილი: ერთი

„დასტურლამალშია“ შეტანილი, მეორე 1703–24 წლებშია შედგენილი, ხოლო მესამე – „სამორდალოს განწესება“ მთავარმართებელ პ. ციციანოვს წარუდგინეს ზაალ ბარათაშვილმა და ეროდიონ გურგენიძემ. ამ განწესებათა მიხედვით, ქართლ-კახეთის მ-ებს ეკუთვნოდათ სარგო სამეფოს ყოველი იჯარიდან, იასაულებისგან აღებული თამასუქებიდან, მეფის მიერ გაცემული დოკუმენტების, სიგელების, ოქმების, განაჩენთა დაბეჭდვისათვის და სხვ. XVIII ს. II ნახ-ში ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში ორი სამეფო **მ**. იყო – ქართლისა და კახეთის. დედოფალს საკუთარი ბეჭედი ჰქონდა. „სადედოფლო ბეჭდის“ შემნახველი დედოფლის მ. იყო.

მ-ის თანამდებობაზე ძირითადად ვხვდებით სამეფო აზნაურებს: ქართლში – თუმანიშვილებსა და შანშეან-მარტიროზიშვილებს, კახეთში – ხერხეულიძეებსა და ჩოლოყაშვილებს და სხვ.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმკის მოამბე“, 1942, ტ. 13; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში, თბ., 1952; ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი), თბ., 2017.

ი. უჯმაჯურიძე